ურთიერთ თანამშრომლობის შეთანხმება

(ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტში მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის ტრანსპორტირების ხარჯის სუბსიდირებაზე)

01 იანვარი 2024 წელი

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“

ქ. ბათუმი

1. შეთანხმების არსი და მიზანი

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი და ქალაქ ბათუმი ესაზღვრება ადმინიტრაციული საზღვრებით, რა დროსაც დასახლებათა შორის ხდება ხშირი გადაადგილება ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტიდან ბათუმის მიმართულებით, რაც იწვევს მოსახლეობის მხრიდან საზოგადოებრივი ტრანსპორტის ხშირ გამოყენებას, ხოლო ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტს დღეის მდგომარეობით არ გააჩნია მუნიციპალური სატრანსპორტო კომპანია რომელიც უზრუნველყობს მოსახლეობის ქალაქ ბათუმსა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის სოფლებს შორის გადაადგილებას.

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერიასა და ქალაქ ბათუმის მერიას შორის 2022 წლის 02 თებერვალს გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის შესაბამისად განსაზღვრულია ბათუმისა და ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტებს შორის კავშირების მნიშვნელობას ადგილობრივი და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ეკონომიკური განვითარებისათვის, მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებას თანამშრომლობას სხვადასხვა მიმართულებებით, მოსახლეობისათვის ინტეგრირებული სამგზავრო სატრანსპორტო მომსახურების ორგანიზებას, სამგზავრო ტრანსპორტის სფეროში ერთიანი სტანდარტების შემუშავებას, საზოგადოებრივი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის გაუმჯობესებას, სამგზავრო ტრანსპორტის ერთიანი სატარიფო სისტემის შემუშავებას, ტრანსპორტის მარშრუტების, მოძრაობის სქემისა და გრაფიკის შემუშავებას, ყველა სხვა მიმართულებას, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალეტეტების ტერიტორიებზე რეგულარული ტრანსპორტის მგზავრთა ინტერესების გათვალისწინებას/დაცვას და მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მოსახლეობის საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის ტრანსპორტირების ხარჯის სუბსიდირება.

2. „ურთიერთ თანამშრომლობის შეთანხმები“-ს მხარეები

ერთი მხრივ, შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“, წარმოდგენილი დირექტორის ლევან ლაზარიაშვილის სახით (შემდგომში - „ოპერატორი“), მეორე მხრივ, ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ხელვაჩაურის მერის, ზაზა დიასამიძის სახით (შემდგომში - „დამფინანსებელი ორგანო“) და მესამე მხრივ ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია, წარმოდგენილი ქ. ბათუმის მერის, არჩილ ჩიქოვანის სახით (შემდგომში - „მხარე“)

3. განმარტებები:

3.1. ტერმინებს და გამოთქმებს მიმდინარე შეთანხმებაში მინიჭებული აქვთ შემდგომი მნიშვნელობა:

ოპერირებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების წლიური პროგრამა	სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის შეკეთებისა და ტექნიკური მომსახურების პროგრამა, განხორციელებული ოპერატორის მიერ და დადასტურებული ორგანოს მიერ, ამ შეთანხმების 12.2 მუხლის თანახმად.
ოპერირების არეალი	ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტი
ავტობუსი	მექანიკურად მოძრავი სატრანსპორტო საშუალება, რომელიც შექმნილია გზაზე გადაადგილებისთვის, და სადაც მგზავრთა ადგილების რაოდენობა აღემატება ცხრას (მ.შ. მძღოლი) გათვლილია ცხრა ადამიანზე

ავტობუსის გაჩერება	სპეციალურად განკუთვნილი ადგილი, სადაც ავტობუსს შეუძლია გაჩერდეს მგზავრის აყვანის ან ჩაყვანის მიზნით
ცვლილება	მომსახურების ცვლილება, რომელიც ეხება მომსახურების დონის ცვლილებას, ვალდებულებების შესრულებას, მათ შორის ამ შეთანხმების მუხლებით გათვალისწინებული სუბსიდირება დაფინანსება და კომპენსაცია
კომპენსაცია	კომპენსაცია წარმოადგენს საზოგოდოებრივი მომსახურების კომპენსაციას, განსაკურებით კი ფინანსურს, რომელსაც პირდაპირ ან ირიბად გასცემს შესაბამისი დაფინანსების წყარო, ხელვაჩურის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, საჯარო ფონდები საზოგადოებრივი მომსახურების ვალდებულებების იმპლემენტაციის პერიოდში
შეთანხმება	მიმდინარე შეთანხმება გაფორმებული მხარეებს შორის, ყველა დანართის ჩათვლით.
ავტობუსით მგზავრობის საფასური	მგზავრობის საფასური გადახდილი მგზავრის მიერ საზოგადოებრივი ტრანსპორტის გამოყენებისათვის კონკრეტულ დროში.
თვე	კალენდარული თვე
ყოველთვიური კომპენსაციის ანგარიში	დოკუმენტი რომელიც შედგენილია ამ შეთანხმების მე-6 თავის მიხედვით, რომლის მიხედვითაც დამფინასებელი ორგანო თვიურად ოპერატორს უნაზღაურებს კომპენსაციას.
ოპერატორი ან საზოგადოებრივი ტრანსპორტის ოპერატორი	„ოპერატორს“ წარმოადგენს შპს ბათუმის ავტოტრანსპორტი
ვალდებულება	ვალდებულებები არის ის მოთხოვნები, რომლებიც განსაზღვრულია კომპეტენტური ორგანოს მიერ, რათა უზრუნველყოფილი იყოს მგზავრთა საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა, რომელიც უნდა ატარებდეს საზოგადოებრივ ინტერესს, რა დროსაც ასევე გათვალსიწინებულია ოპერატორის ინტერესები.
მომსახურება ან მომსახურეობები	საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფა ოპერატორის მიერ, რომელიც დროდადრო შეიძლება იყოს შეცვლილი დამფინანსებელი ორგანოს მიერ.
ტრანსპორტირების ტარიფი	მგზავრობის საფასური, რომელსაც იღებს ოპერატორი და რომელიც დადგენილია დამფუძნებლის ან დამფინანსებელი ორგანოს მიერ მოქმედი კანონმდებლობისა და მიმდინარე შეთანხმების მიხედვით.
ავტობუსის განრიგი	შესაბამისი ავტობუსების განრიგი პერიოდულად დადგენილი დამფინასებელი ორგანოს მიერ.
ტრანსპორტის მოძრაობის პროგრამა	ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტის დოკუმენტი, რომელშიც ძირითადად წარმოდგენილია ინფორმაცია მარშრუტების, სადგურების, მარშრუტის ხანგრძლივობის, გაჩერებების, მათ შორის დაშორებისა და მოძრაობის

	ინტერვალების შესახებ.
სამუშაო დღე	დღე, რომელიც არ არის შაბათი ან კვირა ან საჯარო დასვენების დღე.
წერილობითი კომუნიკაცია	ასევე უნდა მოიცავდეს ელექტრონულ კომუნიკაცას.

3.2. კანონმდებლობაზე ნებისმიერი სახის მითითება კეთდება საქრთველოს კანონმდებლობის დასახელებით, რა დროსაც ასევე მითითებულია ნებისმიერი სახის შესწორება, თუ დამატება კონკრეტულ კანონმდებლობაში.

4. შეთანხმების საგანი:

4.1. ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს დამფინანსებელი ორგანოს მიერ ოპერატორისთვის, ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების ოპერირების დელეგირება, მარშრუტების შესაბამისად (იხილეთ მარშრუტების რუკა დანართი სახით) ხელვაჩაურის მასშტაბით, ოპერატორის მიერ ტრანსპორტით უზრუნველყოფის ვალდებულებების შესრულების პირობით.

4.2. ოპერატორმა უნდა განახორციელოს ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება მოთხოვნილი ვალდებულების გათვალისწინებით და უნდა ჰქონდეს კომპენსაციის მიღების უფლება დამფინანსებელი ორგანოსგან, იმ პირობებით, რომლებიც მოცემულია ამ შეთანხმებაში; უნდა ქონდეს უფლება განახორციელოს ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურება ამ შეთანხმების მიხედვით;

4.3. ოპერატორს უნდა გააჩნდეს უფლება გამოიყენოს ის ინფრასტრუქტურა, რომელიც აუცილებელია ადგილობრივი საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების გაწევისთვის, რომელიც ჩამოთვლილია მიმდინარე შეთანხმების დანართი B(i)-ში, დამფინანსებელი ორგანოს თანხმობის გათვალისწინებით.

4.4. თითოეულმა მხარემ უნდა იმოქმედოს კეთილსინდისიერად, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეთანხმების პირობების შესრულება.

4.5. ამიერიდან დამფინანსებელი ორგანო ოპერატორს ანიჭებს შეთანხმებაში ასახულ უფლებებს, რომლის თანახმადაც ოპერატორი თანხმდება გაწიოს შემდეგში ჩამოთვლილი მომსახურება იმ პირობებით, რაც ასახულია მიმდინარე შეთანხმებაში, რაც თანხვედრაში უნდა იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან, რეგულაციებთან და მიმდინარე შეთანხმების პირობებთან.

5. მომსახურების ვალდებულებები:

5.1. დამფინანსებელი ორგანო აფორმებს ამ შეთანხმებას ოპერატორთან საზოგადოებრივი ტრანსპორტით უზრუნველყოფისათვის.

5.2. თუ დამფინანსებელი ორგანო, მოქმედი კანონმდებლობის ფარგლებში, მიიღებს სატრანსპორტო სტრატეგიას ან ინტეგრირებულ გეგმას, შესაძლებელია მოხდეს მიმდინარე შეთანხმების პერიოდულად განახლება ოპერირების არეალის გათვალისწინებით.

5.3. ოპერატორი ვალდებულია შეასრულოს საკუთარი ვალდებულებები, რომელიც დაკავშირებულია საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების მარკეტინგთან.

6. საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსახლეობის უზრუნველყოფის წლიური მომსახურეობა

6.1. საზოგადოებრივი ტრანსპორტით წლიური მომსახურება მოიცავს ისეთ მახასიათებლებს, როგორიცაა მარშრუტების ჩამონათვალი და რუკა, თითოეული მარშრუტის სიგრძე კმ-ში, მოძრაობის საშუალო სიჩქარე, თითოეულ მარშრუტზე გაჩერებების რაოდენობა, განრიგი და სხვა ინდიკატორები, რომლის საშუალებითაც ხორციელდება ავტობუსის გასვლების რაოდენობისა და გარბენის დაანგარიშება თითოეული მარშრუტისთვის, თვეებზე დაანგარიშებით. მოთხოვნაში ასევე წარმოდგენილია საპროგნოზო ინფორმაცია მგზავრთა რაოდენობის შესახებ, თითოეული მარშრუტისთვის.

6.2. მომსახურეობის შესრულების განსახილველად, მუნიციპალიტეტი ორგანიზებას უწევს სულ მცირე ორ საკოორდინაციო შეხვედრას ოპერატორთან წლის განმავლობაში. შეხვედრაზე განიხილება

ისეთი საკითხები, როგორიცაა: დაგეგმილ გარბენსა და შესრულებულ გარბენ შორის არსებული განსხვავების მიზეზები, მომდევნო წლის მომსახურეობის განხილვა, მომსახურების მიწოდების ხარისხის საკითხები, გატარებული ბარათებიდან მიღებული შემოსავალი მგზავრთა ნაკადის ცვლილება და სხვ. შეთანხმების მხარეების გარდა შეხვედრებს შესაძლოა ესწრებოდეს მოწვეული ექსპერტები და სხვა დაინტერესებული მხარეები.

7. დაკვეთის შესრულება

7.1. ოპერატორი აგზავნის ანგარიშს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მომსახურების შესრულების შესახებ ყოველთვიურ ანგარიშში. გარდა სხვა ინფორმაციისა, ანგარიში მოიცავს ისეთ ინდიკატორებს, როგორიცაა დაგეგმილი გარბენი, რეალური გარბენი, ასევე გადაცდომა რეალურ და დაგეგმილ გარბენს შორის.

7.2. ავტობუსების პარკის გეგმიური გარბენი თვის განმავლობაში დაანგარიშებულია გეგმიური გარბენის წლიური ანგარიშიდან შესაბამისი თვის გათვალისწინებით, წლის განმავლობაში შეტანილი ცვლილებების გათვალისწინებით.

7.3. ავტობუსების პარკის რეალური გარბენის დაანგარიშება ხდება ოპერატორის საოპერაციო მონაცემების მიხედვით. მუნიციპალიტეტის მხრიდან ხდება მხოლოდ რეალური გარბენის სუბსიდირება, იმ ტარიფით, რომელიც დადგენილია საანგარიშო პერიოდისთვის ერთ ავტობუს-კმ გარბენზე.

7.4. გადაცდომა იანგარიშება სხვაობით გეგმიურ და რეალურად შესრულებულ გარბენს შორის საანგარიშო პერიოდისთვის და ასახულია ავტობუსი-კმ გარბენით.

7.5. განსხვავება, რომელიც გამოწვეული არ იყო ოპერატორის მიერ არ ექვემდებარება ჯარიმის დაწესებას. მიზეზებს შეიძლება წარმოდგენდეს შედმეგი ფაქტორები:

7.6. საცობები გზებზე.

7.7. გზების ცუდი მდგომარეობა და გაჩერებები.

7.8. თავდასხმა მძღოლზე, ან მგზავრზე ოპერატორის სატრანსპორტო საშუალებაში, სხვა სახის ხულიგნობა ან კრიმინალური შემთხვევა ავტობუსში.

7.9. უბედური შემთხვევა ან ინფრასტრუქტურის დაზიანება, ქურდობა ან საინჟინრო მოწყობილობების დაზიანება.

7.10. ავტობუსების პარკის გამოყენება მოსახლეობის ევაკუაციის მიზნით.

7.11. სხვა მოვლენები.

7.12. გარბენის მონაცემების სისწორის დადასტურება ხდება აღნიშნული ხელშეკრულების მიხედვით. GPS სისტემის აღრიცხვის მეშვეობით.

8. გაწეული მომსახურების სუბსიდირება/ანაზღაურება

8.1. მხარეები თანხმდებიან, რომ დამფინანსებელი ორგანო უსუბსიდირებს თანხას ოპერატორს მომსახურების უზრუნველყოფისა და შეთანხმების პირობების შესრულებისთვის. თანხა უნდა იყოს დათვლილი და ოპერატორისთვის გადახდილი იმ წესების მიხედვით, რაც წარმოდგენილია მიმდინარე შეთანხმების მე-7 პუნქტში.

8.2. ერთი ავტობუსი-კმ გარბენის საბაზისო ტარიფი დაანგარიშებულია ოპერატორის 2023 წლის საწყისი ფინანსური მაჩვენებლების მიხედვით.

8.3. P(2023)=2.77 თითოეული ავტობუს–კმ გარბენზე.

8.4. საბაზისო ტარიფი ავტობუსის თითოეულ კმ გარბენზე P(2023) ფიქსირდება შეთანხმებაზე ხელმოწერისთანავე და მოქმედებს შეთანხმების მოქმედების მთლიანი პერიოდის განმავლობაში.

8.5. დამფინანსებელმა ორგანომ ოპერატორს დაუსუბსიდიროს თანხა ყოველთვურად, ოპერატორი დამფინანსებელ ორგანოს ყოველთვიურად უგზავნის ანგარიშის, რომელსაც ამზადებს ოპერატორი არაუგვიანეს მომდევნო თვის მეათე დღისა (დასასუბსიდირებელი თვის მომდევნო თვე). ოპერატორის მიერ გაცემული ინვოისი უნდა ასახავდეს აღნიშნულ თვეს. ყოველთვიური ანგარიში დამტკიცებული და ხელმოწერილი უნდა იყოს დამფინანსებელი ორგანოსა და ოპერატორის მიერ არაუგვიანეს მომდევნო თვის მეცხრე დღისა (დასასუბსიდირებელი თვის მომდევნო თვე).

8.6. საბაზისო ტარიფი ოპრატორის მხრიდან ექვემდებარება ცვლილებას იმ შემთხვევაში თუ საბაზისო ტარიფის რომელიმე კომპონენტი განიცდის ცვლილებას. (მაგალიტად საწვავის ტარიფის

გაძვირება) საბაზისო ტარიფი შეიძლება შეიცვალოს ოპერატორის მიერ დამფინანსებელი ორგანოს წერილობითი ინფორმირების შემდეგ.

9. მომსახურების ცვლილება

9.1. წლის განმავლობაში, მარშრუტების სტრუქტურა (რუკები, მარშრუტების მანძილი, გაჩერებების რაოდენობა, გასვლების რაოდენობა, მოძრაობის სიჩქარე, განრიგები) და შესაბამისად გეგმიური გარბენის მოცულობა, შეიძლება იყოს შეცვლილი რომელიმე მხარის ინიციატივით, ორივე მხარის წერილობითი თანხმობით.

9.2. რესურსების ნაკლებობის გამო შეუსრულებლობისთვის ჯარიმის თავიდან ასაცილებლად, გარბენის გაზრდა უნდა მოხდეს მხოლოდ ოპერატორის წერილობითი თანხმობის საფუძველზე, რა დროსაც გასათვალისწინებელია ავტობუსების პარკის მდგომარეობა, სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა და სხვა რესურსების ხელმისაწვდომობა.

9.3. განსაკუთრებულ შემთხვევებში, როგორიცაა საჯარო ღონისძიება, დასვენება, ამინდის პირობები, სარემონტო სამუშაოები, ფორს მაჟორი, მუნიციპალიტეტმა შეიძლება შეიტანოს მოკლევადიანი ცვლილებები მარშრუტების სტრუქტურაში. ასეთ შემთხვევაში დამატებითი გარბენი შეყვანილია დასასუბსიდირებელ გარბენში, ხოლო განუხორციელებული გარბენი არ ექვემდებარება სანქციებს.

10. მგზავრობის ტარიფი

10.1. ოპერატორი, მგზავრობის საფასურთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ცვლილების შესახებ, ინფორმაციას აწვდის საზოგადოებას გონივრულ ვადებში.

10.2. მიმდინარე ხელშეკრულების ძალაში შესვლისთანავე ოპერატორმა უნდა გამოიყენოს დამფინანსებელი ორგანოს მიერ დადგენილი ტარიფი.

10.3. მხარეები თანხმდებიან, რომ ოპერატორის მიერ შესრულებული მგზავრთა გადაყვანის შედეგად მიღებული შემოსავალი - მგზავრობის ტარიფის სახით, წარმოადგენს ოპერატორის საკუთრებას. აღნიშნული თანხა ყოველთვიურად ელექტრონული რეპორტის სახით უნდა მიეწოდოს ოპერატორის მიერ დამფინანსებელ მხარეს.

10.4. ის თანხა რაც გათვალისწინებულია „გაწეული მომსახურების დასასუბსიდირება“ – „საბაზისო ტარიფი“ შევსებული უნდა იქნას დამფინანსებელი ორგანოს მიერ, მგზავრობის ტარიფით შემოსული შემოსავლების გამოკლებით.

11. დამფინანსებელი ორგანოს პასუხისმგებლობა

11.1. დამფინანსებელ ორგანოს გააჩნია უფლება და ვალდებულება მოაწყოს საგზაო ინფრასტრუქტურა და მასთან დაკავშირებული აქტივები, რომელიც საჭიროა საზოგადოებრივი დანიშნულების ვალდებულებების შესასრულებლად, რაც შემდეგშია აღწერილი:

11.2. საგზაო ქსელი, რომელზეც დადის საზოგადოებრივი დანიშნულების მარშრუტები. საგზაო ქსელი მოიცავს გზის საფარს, საგზაო ნიშნებს/განათებას, გზის საფარის დახაზვას და სხვა ნიშნულებს;

11.3. წრიულები და ავტობუსის პარკირებისთვის განკუთვნილი ადგილები თითოეული მარშრუტის ბოლო წერტილში.

11.4. დამფინანსებელი ორგანო ვალდებულია უზრუნველყოს გზების ადეკვატური ტექნიკური მდგომარეობა სამარშრუტო ქსელის სრულ პერიმეტრზე, რაც ასახულია ავტობუსების ოპერირების გეგმაში. ამასთან გამოიყენებს ყველა საშუალებას, რათა არ მოხდეს ავტომანქანების არალეგალური პარკირება იმ ადგილებში, სადაც ეს ავტობუსების მოძრაობას აფერხებს.

11.5. დამფინანსებელი ორგანო ვალდებულია აქტიურად ითანამშრომლოს საკუთარ სამსახურებთან და ასევე სხვა შესაბამის სამსახურებთან, რათა უზრუნველყოფილი იყოს სატრანსპორტო საშუალებების თავისუფალი გადაადგილება და მოძრაობის პრიორიტეტულობა, რათა არ შეფერხდეს საზოგადოებრივი ტრანსპორტით მოსახლეობის უზრუნველყოფა.

11.6. დამფინანსებელი ორგანო ვალდებულია ოპერატორი უზრუნველყოს ისეთი ინფრასტრუქტურის ხელმისაწვდომობით, როგორიცაა ავტობუსის გაჩერებები, რომელიც არ ეკუთვნის ოპერატორს, მიუხედავად ამისა წარმოადგენს მუნიციპალიტეტის მასშტაბით საზოგადოერივი ტრანსპორტის შემადგენელ ნაწილს, რის დანიშნულებასაც წარმოადგენს გაჩერებებზე ინფორმაციის განთავსება.

12. სატრანსპორტო საშუალებების მოთხოვნები

12.1. ოპერატორმა უნდა შეასრულოს ვალდებულებები ისეთი სატრანსპორტო საშუალებების გამოყენებით, რომლებიც პასუხობენ შემდეგ პირობებს:

12.2. სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც პასუხობენ საგზაო უსაფრთხოებისა და გარემოსდაცვით მოთხოვნებს მოქმედი კანონმდებლობის მიხედვით;

12.3. სატრანსპორტო საშუალებები, რომლებიც პასუხობენ ტექნიკურ მოთხოვნებს შესაბამისი კანონმდებლობის მიხედვით.

12.4. ხელშეკრულების გადახედვის/შესწორების/შეცვლის უფლება

12.5. ნებისმიერ მხარეს ნებისმიერ დროს შეუძლია წამოაყენოს წინადადება შეთანხმებაში ცვლილებების შეტანის შესახებ შემდეგი მიმართულებით:

12.6. ნებისმიერ მხარეს აქვს უფლება მოითხოვოს ახალი მარშრუტის ან სამუშაო სატრანსპორტო გეგმის მოდიფიკაცია, გაუქმება ან დამატება.

12.7. შემოთავაზებული ცვლილებების შესახებ მიღებული წინადადების შემდეგ, მეორე მხარემ წერილობით უნდა წარმოადგინოს საკუთარი შეხედულება მიღებული წინადადების შესახებ ათი [10] სამუშაო დღის განმავლობაში ან იმ ვადებში, რაზეც შეთანხმდება ოპერატორი და დამფინასებელი ორგანო.

12.8. ნებისმიერი შეთანხმება ცვლილების შესახებ ჩაითვლება ძალაში შესულად, თუ შეთანხმება შედგება წერილობით ფორმაში და რაზეც მოაწერს ხელს სამივე მხარეს წარმომადგენელი, რაც თანხვედრაში უნდა იყოს მოქმედ კანონმდებლობასთან.

13. დავის მოგვარება

12.9. მხარეებს შორის არსებული დავა უნდა მოგვარდეს მოლაპარაკების გზით.

12.10. ხელშეკრულებასთან მიმართებით არსებული ნებისმიერი სასამართლო განხილვა, უთანხმოება ან პრეტენზია, ასევე შეთანხმების პირობების დარღვევის, მისი შეჩერების ან გაუქმების შესახებ ინიციატორმა მხარემ მეორე მხარეს უნდა აცნობოს საკუთარი პოზიციის შესახებ და ამავდროულად წარადგინოს მისი პირდაპირ გადაჭრის შესაძლებლობა.

14. ფორსმაჟორი

არც ერთი მხარე არ არის პასუხისმგებელი საკუთარი ვალდებულებების შეუსრულებლობაზე, თუ ეს გამოწვეულია ფორს მაჟორით.

15. შეტყობინებები და მომსახურება

ხელშეკრულების მიხედვით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის შეტყობინება, რომელსაც გასცემს ერთი მხარე მეორეს მიმართ, გაცემული უნდა იყოს წერილობით და შეიძლება იყოს გადაცემული პირდაპირ ხელით ან გაგზავნილი იყოს ფოსტით, ასევე მეილის საშუალებით.

16. ხელშეკრულების მოქმედების ვადა;

16.1. წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისიწნებული მომსახურების მოქმედების ვადა არის 2024 წლის 01 იანვრიდან 2024 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

16.2. წინამდებარე ხელშეკრულება ძალაში შედის მისი ხელმოწერის დღიდან და მოქმედებს 2025 წლის 01 თებერვლამდე.

17. მხარეთა რეკვიზიტები

ხელვაჩაურის მუნიციპალიტეტის მერია
ხელვაჩაურის მერი ზაზა დიასამიძე

_____

Zaza Diasamidze
Подписано цифровой подписью: Zaza Diasamidze
Дата: 2024.01.16 09:28:32 +04'00'

ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერია
ქ. ბათუმის მერი არჩილ ჩიქოვანი

_____

შპს „ბათუმის ავტოტრანსპორტი“
დირექტორის ლევან ლაზარიაშვილი

Levan
Digitally signed by Levan Lazariashvili
Date: 2024.01.12